საიდ. №67161/03

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №88-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ღვალაძე (თავმჯდომარე), მ. ბაკურაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „მეგატრეიდი”-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №88-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 იანვრის №75/03 ბრძანების ბათილად ცნობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „MEGATRADE” (საიდ. №67161/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9, 35-ე, 37-ე და 42-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 იანვრის №75/03 ბრძანებაზე თანდართული

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "MEGATRADE" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი აღწერილობითია 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალისათვის, ხოლო არაგანმასხვავებელუნარიანია ყველა იმ დანარჩენი საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „გ” ქვეპუნქტების თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი შპს „მეგატრეიდი” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, იგი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ საქონლის ჩამონათვალი აღწერილობითია 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლისათვის და არაგანმასხვავებელუნარიანი მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისთვის. აპელანტის პოზიციით, იგივე განმცხადებლის სასაქონლო ნიშნების განაცხადებზე „Мегатрейд” (საიდ. №67162/03) და „მეგატრეიდი” (საიდ. №67579/03) ექსპერტიზამ რეგისტრაციაზე მოგვიანებით გამოიტანა დადებითი გადაწყვეტილება მე-9, 37-ე და 42-ე კლასებში საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 იანვრის №75/03 ბრძანების ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „MEGATRADE” (საიდ. №67161/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ”. ამავე კანონის მე-4

მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად”.

კოლეგია ნაწილობრივ იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი 35-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ: „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური” წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, რადგან ტერმინი „MEGATRADE” ქართულად ითარგმენა, როგორც „დიდი საქმიანობა”, „ფართო საქმიანობა”, შესაბამისად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი სემანტიკურად დაკავშირებულია ზოგადად ნებისმიერ საქმიანობასთან საქმიან სფეროში, შესაბამისად იგი წარმოადგენს აღწერილობით და არაგანმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშანს 35-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რადგან იგი აღწერს მომსახურების სახეს. რაც შეეხება მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლის განცხადებულ ჩამონათვალს, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ არ წარმოადგენს აღწერილობით და არაგანმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშანს, რადგან აღნიშნული კლასებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლის მიმართ განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ფანტაზიურ სასაქონლო ნიშანს და იგი ვერ ჩაითვლება არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშნად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნაწილობრივ, კერძოდ 35-ე კლასის მომსახურების ნაწილში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუქნტის „გ” და „დ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხოლო მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ ადგილი არ აქვს

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუქნტის „გ” და „დ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „MEGATRADE” (საიდ. №67161/03) რეგისტრაციაზე მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „მეგატრეიდი”-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 იანვრის №75/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „MEGATRADE” (საიდ. №67161/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. სასაქონლო ნიშანი „MEGATRADE” (საიდ. №67161/03) დარეგისტრირდეს საქართველოში მე-9, 37-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების

გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| კოლეგიის თავმჯდომარე: | ი. ღვალაძე |
| წევრები: | მ. ბაკურაძე |
| | დ. ჭიჭინაძე |